სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
თ.-აზნაურთ ქარვასლა

...ის-მომწერნი გაზეთის დასაკვე-
... მიმართავენ რედაქციას დილის
...-8 საათამდე და საღამოს 6—7
„წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
...-მოუწერავ წერილებს რე-
დაქცია არ ბეჭდავს.

...-პირ მოლაპარაკება რედაქ-
...ორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
წვრილებრივი სტრიქონი პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
тифлисъ, Дворцовая ул. д.
Дворянства.
Телефонъ № 363



წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 4 მან. და 50 კ.,

!!მიაქციეთ ყურადღება!!
გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალოვის სახლებში
ამ ცოტა ხანში გაიხსნება
ჩინეთის მაღაზია
ვინც ჩაის იყიდის იმას ნობათად მიეცემა რაიმე ნივთი. ვინც
...იყიდის 12 მან. ჩაის თუნდაც სხვა და სხვა დროს, 2 მან. იმას
...აჩუქრად მიეცემა ჩაის ყოველივე მოწყობილობა. (100—3)

...ვილეთ სწორეთ იმ ფირმებიდამ
...და ისეთივე საიმედო, როგორც
...წარსულ წლებში, ბაღდადების
...ევროპიული ჯიშისა დიდი მა-
...აბრეშუმის თესლი. მსურველთ
...ეძლიათ მოგვმართონ ჯერ-ჯე-
...ბით: ოზურგეთში, ახალსენაკში
...ბათუმში ჩვენს წიგნის მაღა-
...ებს, რომლებთაც დაეთმობა
...იერ იაფად. საიმედო პირს ვაძ-
...ვთ ნისიათაც. ამასთანავე ვყი-
...თ სულ მცირე ფასათ ბჟოლის
...ეს და წიგნაკებს აბრეშუმის
...ვლა მოშენებაზე.
(...0—12) ძმ. თავართქილაძეები.

...მკურნალო და ამბულატორია
...ზ. თოფურიასი
ქუთაისში.
...კურნალოში 50 საწოლია ავად-
...ფთათვის მიიღებიან ავადმყოფ-
... შინაგანისა, ნერვების, საქირურ-
... თვალისა და დედათა ავადმყო-
ფობისანი,
...დამდებ სენით ავადმყოფნი არ
მიიღებიან.
...ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11
...იდგან ნაშუადღევის 3 საა-
...დე. შინაგან და ნერვების ავად-
...ფობას სწამლობს ხ. ზ. თო
...ფურია. საქირურგო ავადმყოფობას
... სიფილისს ფ. ქ. მერაბი.
...დათა ავადმყოფობას მკურნალი
ქალი მ. თ. კობანი.
...ვალების ავადმყოფობას—ი. ქ.
მარშანია.
...ამბულატორიასთან არის კაბინეტი
...ქიმიო და საბაქტერიოლოგიო
გამოკვლევისათვის, ელექტრონით
წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ხ. ზ. თო
ფურია
*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.


**ტფილისის სასოფლო-სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოების** გამგეობა ამითი აცხადებს, რომ ბ-ნმა ფინანსთა მინისტრმა დაამტკიცა ამა საზოგადოების საბჭოს შუამდგომლობა, რომლითაც, წესდების მე-17 §-ის შესაფერისად საზოგადოებას შემდეგი უფლებანი ეძლევა:

პუნქტი **9**. მიიბაროს საზოგადოების წევრთა, გარეშეთა და დაწესებულებათაგან ფული სარგებლის მღებით, როგორც უვადოდ, ისე ვადით და მიმდინარე ანგარიშით, სხვა-და-სხვა პირობით, ისე-კი, რომ ბილეთი ანუ მოწმობა ფულის პატრონთ მხოლოდ სახელდებული მიეცეთ, უფლება არა ჰქონდეთ სხვაზედ გარდაცემისა და ას მანეთისაზედ ნაკლებისა არ იყოს.

შენიშვნა. თუ ვინიცობაა საზოგადოებამ მოსპო მოქმედება, საზოგადოების წევრთ მათ მიერ შეტანილი ფული დაუბრუნდებათ მხოლოდ მაშინ, როდესაც გარეშეთაგან შეტანილი ფული იქნება სავსებით გარდახდილი.

პუნ. **10**. დააგირაოს საკუთარი სარგებლიანი ქაღალდები (სახელმწიფო ანუ მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილი) სხვა საკრედიტო დაწესებულებაში და გადააგირაოს ის სარგებლიანი ქაღალდები, რომელიც საზოგადოებას გირაოდ აქვს აღებული კერძო კაცთაგან, პატრონთა ნება-ყოფლობით, ხოლო ისე-კი რომ გადაგირავებულ იქმნას იმ ფულზედ არა მეტად, რამდენიც თითონ აქვს საზოგადოებას იმ გირაოზედ მიცემული.

პუნ. **11**. გადააგირაოს სხვა საკრედიტო დაწესებულებაში, პატრონთა ნება-ყოფლობით, გირაოდ მიღებული საქონელი და სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებნი, ისე-კი, რომ გადაგირავებულ იქმნას იმ ფულზედ არა მეტად, რამდენიც თითონ საზოგადოებასა აქვს იმ გირაოზედ მიცემული სესხი და იმ პირობის დაცვით, რომელიც დადგენილია „საკრედიტო წესდების" [1893 წ. გამოც. კანონთა კრებულის მე-XI ტ. მეორე ნაწ.) მეათე განყოფილების მე-10 მუხლში.

(3—1)

## ახალი ამბავი

*** რუსული წარმოდგენა სახალხო თეატრის სასარგებლოდ. ხვალ სათავად აზნაურო თეატრში დანიშნულია რუსული წარმოდგენა სახალხო თეატრის სასარგებლოდ. წარმოდგენაში მონაწილეობს ღვაწლმოსილი ჩვენი ნიჭიერი არტისტი ალექსი-მესხიშვილი. წარმოდგენილი იქნება „გულის თქმა" რაშანინის დრამა.

*** თავად-აზნაურთა საგანგებო კრება. დღეს დანიშნულია საგანგებო კრება. კრება განიხილავს შემდეგ საგნებს:

1) არჩევნები თავად აზნაურთა წარმომადგენლებისა ტფილისის საადგილ-მამულო ბანკში.

2) მოხსენება ტფილისის გუბერნიაში ერობის შემოღების შესახებ.

3) მოხსენება მიწების გამიჯვნის საქმის დაჩქარების შესახებ.

4) მოხსენება იმის შესახებ, რომ დაწესდეს სტიპენდიები სასწავლებლებში მეფე ირაკლის სახელობაზედ, და ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლას ეწოდოს მეფე ირაკლის მეორის სახელი.

5) მოხსენება იმის შესახებ, რომ თავად-აზნაურობას ნება ჰქონდეს ფულის სესხად აღებისა ტფილისის განყოფილების სახელმწიფო ბანკიდან.

6) ტფილისის გუბერნიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება.

და 7) ზოგიერთი საგნები იმ მამულების მოვლის შესახებ, რომელიც ეკუთვნის ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას.

*** კახეთის რკინის გზა. მკითხველებს ეხსომება, რომ კახეთის რკინის გზის გაყვანა, თავად-აზნაურობის შუამდგომლობის შემდეგ, იკისრა მთავრობამ, მაგრამ რადგან ციმბირის გზას თურმე მეტის მეტი ფული სჭირდება, ამიტომ მთავრობას ჯერ-ჯერობით შეუძლებლად უც... რკინის გზის გაყვანა კახეთ... ...ოლო, რადგან კახეთში რკინის გზის გაყვანა ერთს აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, ამიტომ სამინისტროს გადაუწყვეტია კერძო პირს ვისმეს გადაეცეს უფლება ამ გზის აშენებისათ. როგორც ვიწყით, მარშლად ყოფილი თავ. შაქრო მაღალაშვილი ცდილობდა აელო გზის გაყვანის უფლება, მაგრამ ეხლა, როგორც გაზეთი „ნოვ. ობოზ."-ე სწერს, კახეთის რკინის გზის გაყვანა მი-

უციათ თავ. ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჭავჭავაძისათვის.

ამ გზის გამოისობით პეტერბურგს გამგზავრებულა თვითონ თავ. ნ. დ. ჭავჭავაძე და ინჟენერი სიმბერგი, რომლის პროექტითაც უნდა გაყვანილ იქმნას რკინის გზა.

*** რკინის გზა ეკატერინოდარსა და სოხუმს შუა. ამას წინედ ჩვენ მოხსენებული გვქონდა, რომ სოხუმსა და ეკატერინოდარს შუა როსტოვ-კავკავის რკინის გზის საზოგადოებას გზა გაჰყავთ და ამ გაზაფხულზე აპირებენ კიდეც მუშაობას შეუდგნენ, რათა რკინის გზა სრულებით დასრულებული იქმნას სამი წლის განმავლობაში, ესე იგი, 1904 წელს უკვე მატარებლებიც ივლიანო.

*** შემოსავალი სასულიერო კონცერტიდან. როგორც ამბობენ, კვირას გამართულ სასულიერო კონცერტიდან შემოსულა დაახლოებით ექვსას მანათამდე.

*** **თიანეთი** კლუბის დაარსება. კლუბის დაარსებასაც თანაგრძნობით მიეგებნენ აქაურები. წესდება უკვე კარგა ხანია წარადგინეს დასამტკიცებლად, მაგრამ უნდა კი შევნიშნოთ, რომ ეს კი მეტისმეტია, რადგანაც თიანეთის ღარიბი საზოგადოება კლუბს ვერ შეინახამს და დუშელების დღე დაადგებათ. რაც კლუბს მუდამ წელს მოუნდება, იმის ნახევარი რომ დეპოს ან ბიბლიოთეკას მოახმარონ, მგონი უფრო კარგი და სასარგებლოც იქნება. ამ ჟამად ჩვენა გვაქვს: ბიბლიოთეკა, დეპო და სცენა, ჯერ-ჯერობით ესეც გვეყოფა, ამაზე მეტი აღარ მოეთხოვება თიანეთისთანა პატარა ღარიბს საზოგადოებას, ესენი შეინახოს, ამაებს ემსახუროს და მეტსაც არავინ მოსთხოვს, ესენიც ეყოფათ გასართობათაც და საქმეთაც.

№

*** **ს. ბოდბისხევი** (ქიზიყი). ჩვენი აკ კარგი. ვისაც ეს სოფელი გადაუთვალიერებია, უეჭველია იგრძნობდა ამ სოფლის ჰაეროვნებით უკეთესად დაჯილდოვებას სხვა ქიზიყის სოფლებზე. სოფელი გაშენებულია მთაგორების ფერდობ ადგილებზე, სადაც შუა და შუა დიდი ხევები ჩამოუდის, რომლებისგანაც ახლო მცხოვრებთ ზაფხულში დიდი წვიმების დროს შიშის ზარი აქვთ დაცემული. რაიცა იშვიათი არ არის ამ ხევების აზვირთების დროს სახლების ნგრევა, ხალხის ხრჩობა და ვენახ-ბაღბოსტნეულების წალეკვა. ამ სოფელში შეხვდებით ხშირად ცივწყაროებს თითქმის ყოველ უბანში. ზოგან ბუნებით ისე გადმოჩხრიალებს, რომ მცხოვრებთ ძალაუნებურად ღარი გაუკეთებიათ და იქიდან ავსებენ წყალსა. და ზოგანაც ვეებერთელა წყაროები გამოჰქუხს მიწიდან და უგზოობით იქავე გუბდება, შმორდება და სწამლავს ჰაერს, საიდანაც იბადება ციებ-ცხელებასთან სხვა ათასგვარი ავადმყოფობაც, რასაც ამტკიცებს ამ უკანასკნელებში გამუდმებული ციებ-ცხელებით ხალხის ქლეტა. ბნელა ღამეში სიარულის დროს, ისე არიან შეჩვეულნი ამ უგზოუკლოდ დაფანტულ წყალში ტოპვას და ამოზუნზვლას, როგორც მცხოვრებნი, ისე მღვდლები და მასწავლებელი და, თვით მამასახლისიც, რომ აზრათაც არავის მოსვლია გამოიღონ თავი, გააფართოვებინონ რუები და წყალს გზა მისცენ. და სადაც ხალხს თვით არ ძალუძთ, იქ გამოაღებინონ კომლეურად ფული და მცოდნე პირს გამოაყვანინონ ეს უქმად დაკარგული წყალი შესაერთებლად იმ ერთიბეწო რუისა, საიდანაც დიდი სარგებლობა ექნებათ როგორც ბაღ-ვენახ-ბოსტნეულების მორწყვით, ისე შაეძლებათ ბუჭუნტო წისქვილების გადადებაც და თითონაც აიშორებენ ერთმანეთის თავპირის მტვრევას მოსარწყავად ჯერის ცილაობაზედ. მივაქცევთ ახალი მამასახლისის ყურადღებას, რომ ამან მაინც გამოიდვას თავი, და გულ-მხურვალედ მოეკიდოს ამ საქმეს როგორც წყლების გამოყვანაში, ისე ღვარისაგან საშიშო ადგილებში მესრების გაკეთებაზედ, რომ ამ მხრივ მაინც დაეხწიოს ხალხი შეწუხებას, რომელზედაც არ დაზოგავენ არც ფულსა და არც თავიანთ შრომას.

ილოდიონ ოქრუაშვილი

*** **დ. ჩურუქსუ.** როგორც გავიგეთ დაბა ჩურუქსუში მოდის საზაფხულოთ საპიონნი პოლკი. ეჭვი აღარ არის, რომ წრეულს საავარაკოდ მოსულები უფრო მეტი იქნება ჩვენს დაბაში, რადგანაც მუდამ დღე მუზიკა არ მოაწყენს ხალხს. ჯარის ჩამოსვლა მეტად სასიხარულოდ დაურჩათ ჩურუქსუს მცხოვრებლებს, რადგან ცოტათი მაინც დაბა გაცხოველდება ყოველ მხრივ და ალებ-მიცემობაც იმატებს, აქაურებს განძრახვა აქვთ სასეირნო როტონდა გააკეთონ.

ირაკლი.

*** **აბაშა.** მადლობის გამოცხადება. ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადოთ, როგორც ჩემის მხრივ, აგრეთვე რწმუნებულ ჩემდამო სამრევლო სკოლის მოწაფეთაგან ნიკოლოზ ვ. პერტენავას, რომელმაც შესწირა სკოლას, ორი სასკოლო სტოლი, ღირებული ათ მანეთამდე. იმედია სხვებიც მიბაძავენ ბ. პერტენავას და დახმარებას აღმოუჩენენ აქაურ სკოლას.

მღ. რაჟდენ ჭალაგანიძე

## თეატრის მატიანე

—

**ს. თიანეთი.** ქართული წარმოდგენა. სადაც კი სიტყვით არიან, აქაური საზოგადოება საქმით არის, სადაც სიტყვას ამბობენ, აქაური საზოგადოება საქმით ასრულებს. ყოველ საზოგადო საქმეს თანაგრძნობით ეგებება და ცდილობს შეძლებისა დაგვარად რაიმე დახმარება აღმოუჩინოს. აქ საკმარია რომელიმე გავლენიანმა პირმა მხოლოდ მოთაობა იკისროს რაიმე კეთილ საქმისა, — დანარჩენი საზოგადოებამ იცის. — აი მაგალითად: პირველად დააარსეს წიგნთსაცავი, ამას ზედ მოჰყვა დეპო და ამ ცოტა ხანში აღიძრა კითხვა სცენის დაარსებაზე. საზოგადოება ამასაც სიხარულით მიეგება. ამის შესრულება იკისრა ჩვენმა მაზრის ექიმმა ბ. ლ. ა. ჯავახიშვილმა. გამართა ხელის მოწერა, შეაგროვა საჭირო ფული და ეხლა ამის წყალობით გამართული სცენა გვაქვს. აგრეთვე დიდი შრომა მიუძღვის ამ სცენის გამართვაში თიანეთის სკოლის სახელოსნო განყოფილების მასწავლებელს ბ. ვ. გოცირიძეს, რომელმაც არ დაზოგა თავის შრომა და უსასყიდლოდ გაგვიმართა სცენა.

28 მარტს, აქაურ ქართულ სცენის მოყვარეთ ბ-ნ ჯავახიშვილის თაოსნობით გამართეს ქართული წარმოდგენა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სასარგებლოდ. წაროადგინეს. თავ. ივ. მაჩაბლის ორ მოქმედებიანი კომედია „ადვოკატი მელაძე“ და ვალ. გუნიას ვოდევილი „ჩათრევას ჩაყოლა სჯობია“. წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა. ხალხი იმდენი დაესწრო, რომ თითქმის ადგილი აღარ იყო. ბილეთები სულ გაიყიდა. საზოგადოება ნასიამოვნები დაბრუნდა. შემოსავალი იყო: ბილეთების გაყიდვით 70 მ. 57 კ., სხვა და სხვა შემოწირულება — 2 მ. 64 კ., სულ 91 მ. 21 კ., აქედგან დაიხარჯა: სცენის მოსაწყობად, მარკები და სხვა წვრილმანი ხარჯი — 21 მ. და 21 კ. წმინდა შემოსავალი დარჩა 70 მანეთი, რომელიც აბარია წარმოდგენის გამგეს ბ. ჯავახიშვილს წარსადგენად კუთვნილებისამებრ.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ რახან გამართული სცენა გვაქვს, ეხლა მალ-მალე გამართავენ წარმოდგენებს და ყოველთვის მოახ
რებენ აღებულ ფულს კეთი
საქმეს, თუ, რასაკვირველია, 
რიკანობას თავი არ დაანებეს
სცენაზე გამოსულ ქალს არ გა
ცხავენ და ყოველთვის ხალ
მისცემენ სცენაზე გამოსვლისა

იგუ

## სამეურნეო ცნობ

მცენარეთა მეტყველება (ბოტან
(შემდეგი *)

ჩნავი, ჩატკატა, ცირცელი (
რთული, იმერული, გურუ
ამჩავაშა (მეგრული), სინ, პის
ნიშ (სომხური) კოხლუ (თათ
ლი), ცუი (ოსური), აზა (ლე
რი), რიაბინა (რუსული), სორ
აუკუპარია (ლათინური). მცენ
გვარობს მარტო პატარა კავკა
მთებში (въ хребтахъ мал
кавказа). ტოტები და ყლორ
ბი მუქ მოწანო ფერისაა, რ
ლებიც შემოსილნი არიან დ
გულის ყვავილების მზგავსი
თეთრო ყვავილებში, რომლებ
მოაქვთ მსხვილ საფანტის ტ
ყვითელ მოწათინო ნაყოფი. ნა
ფით ამზადებენ: ძმარს, არაყს
სხვა და სხვა სასმელებს. ახ
ნაყოფის წვენს ხმარობენ სისხ
ფაღარათობის წინააღმდეგ (п
тивъ кроваваго поноса). მი
სალოს ხმარობენ სადურგლ
სხვა და სხვა იარაღების გასაკე
ბლად. როგორც შნოიანი და
ზათიანი მცენარე, მას რგ
ყვავილნარებში და ბაღებში. 
ვლდება: თესლით და ფესვ
გაყოფით.

წნორი, ტირიფი, ნერგი, 
ცი (ქართული, იმერული, გუ
ლი), ური (სომხური), სვე
(თათრული), რიცილგედ, 
აცო (ლეკური), ივა (რუსუ
სალიკს (ლათინური). ბევრი
და სხვა ჯურისაა, რომლ
ერჩევიან ერთი ერთმანერთს, 
თლების, ტოტების, ყლორტ
აგებულობითი, ფერით და
გვარობს ყველგან და ყველა
დაგზე, ხოლო ტყეში და მ
რებში, უყვარს წყლიანი ადგ
ბი, უწყლოთ მას მალე ეს
სიცოცხლე. ამის გამო, როდ
რგავენ ბაღებს გარეშემო ნე
ბათ, უეჭველად წყალი უნდა
ნდეს მიშვებული, თუ ყოველ
არა, კვირაში ერთხელ მა
შნოიანი მცენარეა, მაგრამ ყ
ლის დროს მეტად აბეზრებს
მიანს, რადგანაც მისი თეთრი
სუმბუქი ყვავილი ბუმბულ
ეფინება ყველგან, რის გამო
მცენარე არას დროს არ უ
დაირგას ეზოში შენობებთან

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 789.

...რომლის ყვავილითაც ივსე-
...ი, ოთახები და დერეფნები
...ლია მისი მოშორება. მის
...ს მეურნეობაში ხმარობენ
...ა სხვა იარაღების მოსამზა-
...დ. ახალგაზრდა ყლორტე-
...წნავენ: კალათებს, გოდრებს
...ზუდრებს, მაგრამ ყველაზე
...დეგი მისი ჭიგოა. მანამ ჭი-
...ეუდგამდეთ ვაზს ან სხვა
...რეს, ჯერ ქერქი მოაშორეთ,
...კავეთ), მერე რამდენიმე დღე
...თ მზეზე და ისე შეუდგით
...გაუქერქავი რომ შეუდგათ,
...ფესვებს გაიდგამს, ძირიდგან
...ოქავს ყლორტებს, რომლე-
...დაუშლიან ვაზს გაზრდას.
...დება: ტოტებით და ფესვე-
...აყოფით, გაზაფხულობით და
...დგომით.
...რდღეას ცოცხა, შუშხუნა
...ული), გავამრგი (სომხური),
...ნიკ (რუსული), ციტიზუს
...რნუმ (ლათინური). ბევრი
...ა სხვა ჯურისაა, რომლებიც
...ერთმანერთს ერჩევიან: ფო-
...ით, ყლორტებით, ტოტე-
... მცენარის აგებულობითი,
...რთს კიდევ ასხია წვრილი
...ი. მცენარე გვარობს ზოგი-
...დგილებში, მთებში და ტყე-
...ტანს ყველა ნიადაგს. ყვავის
...ად, მტევნის მზგავსია, მო-
...ოა, როცა აყვავდება, მა-
...იკეთებს წვრილ ლობიოს
... პარკებს, რომელშიაც ისა-
...რტყელი მოშავო თესლი.
...ვავილით სარგებლობს ფუტ-
... როგორც გამძლე და მაგა-
..., მის მასალას აქვს დიდი
...ოვნილება მეურნეობაში, მე-
...ე ჭიგოს. როგორც შნოია-
... ლაზათიანი მცენარე, მას
...ნ ყვავილნარებში და ეზოე-
... მრავლდება: თესლით და
...ტებით, გაზაფხულობით და
...დგომით.
...რეული დიდრონი ხეები (де-
...). ამ რიგს ეკუთვნიან: ალ-
..., არყი, აბრეშომი, აკაცია,
..., ბზა, ბოყვი, ვერხვი, თელა,
..., კვიპაროზი, ლაფანი, ლე-
..., ლობიოს ხე, მუხა, მურ-
..., მაჟალო, ნაძვი, ნეკერჩხა-
...ანტა, რცხილა, სახსადაჯი—
..., უთხოვარა, ძელქვა, ფიჭვი,
..., ქრისტეს ხე, ცხენის წა-
...ცაცხვი, წიფელი, ჰანდარი.

არჩილ დარეჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

## ...ქართველი კლასიკები

ნიკოლოზ ტფილელი.

...მეფეს მირიან მეფისა და მასთა-
...ულისა ქართლისა, წმიდისა და
...ისა დედის ჩვენისა ნინო მოცი-
...ის მიერ. იამბიკო.

—

უძლური დედა, ძლიერთა ჯიმ-მიეღ-
ვარე, კვართისა მძებნი, ღვთის დედის
მოციქული, ტინთა მაგართა, ცვლად ღვთ-
ისად მიმნთები, კერპთ მეხი სრულად,
ქართველთა მესანდრი, დიდებით დიდი,
ნინო განი ღვთის-სახელებს?

—

წამება და ღვაწლი წმიდის დედის
მოწამისა რაჟდენისა. რომელი იწამა
ჟამთა დიდისა მეფისა ვახტანგისათა,
სპარსთა მიერ ქართლს, სოფელსა შინა
წრომსა. თა. აგვისტოს გ.

—

მთიებ საჩინოდ, შიდა ქართლისა,
რაჟდენ დაუვის ლამპარი
წრომს მოღვაწე,
გვერდ განლახვრული,
ქრისტესა ჯვარებისა,
თრევით მტვერს განჰვრის.
მახვილს იმანიოკებს,
სიზმართა სცვალებს
სუფევად საუკუნოდ *).

## სამკურნალო ცნობა

—

რვა მცნება ჭამა-სმისათვის.

1) რაც შეიძლება სჭამეთ რომელიმე ერთს განსაზღვრულ დროს.

2) სჭამეთ ნელა და ყოველივე ლუკმა კარგად დაღეჭეთ.

3) ნუ დალევთ ცივს რასმე, ნურც ცხელ სადილის წინ და ნურც მას შემდეგ.

4) სადილის მოსანელებლად საჭიროა სტომაქს მისცეთ მოსვენება 3—4 საათი.

5) ჭამის შემდეგ დაღეჭეთ ხოლმე პურის ქერქი, რომელიც სადილის მონელებას შველის და კბილებსაც კარგად ინახავს.

6) არას დროს არ დასხდეთ სუფრაზე გაჯავრებული და ცუდს გუნებაზედ და აგრეთვე გაოფლიანებულიდაძრიელ დაღლილი.

7) ჭამა-სმის დროს არც იკითხოთ-რა და საზოგადოთ ტვინს ნუ ამოძრავებთ.

8) არამც და არამც ჭამა-სმის დროს ჩხუბი და ჯავრობა არ დაიწყოთ.

## ბრძნული თქმულება

—

ტანჯვა-ვაების წამალი. ნამდვილი წამალი ტანჯვა ვაებისაგან თუ გნებავთ ა ია რა არის: ამოძრავეთ რაც შეიძლება გონება და სული; ხოლო ამათი მოძრაობა შეიძლება სწავლა-განათლებით. ვინც მოქმედობს, ვინც მოძრაობს გონებით და სულიერად, იგი ნაკლებადაც იტანჯვის. თვით-მოქმედება ტანჯვის დამაცხრობელია.

## ყურმოკრული საუბარი

—

კულტუროსან სირაჯთან.

— მერწმუნე, კნიაზჯან, რომ მეტის დაკლება არ შემიძლიან!

— მაშ კარგი, თეთრი ღვინო ან წითელი დამითმე.

— წითელზე უფრო არ შემიძლიან, თეთრი კიდევ თქვენი ნება იყოს.

— მერე რა განსხვავებაა წითელსა და თეთრ ღვინოს შორის.

— ვა, შე დალოცვილო, წითელ ღვინოზე განა ცოტა წამალი მიდის?

—

დაამშვიდა. მამა ეკითხება თავის გასათხოვარ ქალს:

— შვილო შენი საქმრო ეს ორი დღეა არ მოსულა, ჩხუბი ხომ არა მოგსვლიათ-რა.

— არა მამილო დღეს უთუოდ მოვა.

— მერე რა იცი?

— ისე ვიცი, რომ დღეს ათ თუმანს უნდა გესესხოს.

— ჰო, ჰო!..

## რჩეული აზრები

—

✦ ჩვენ ვიტანჯებით საზოგადოდ უზომიერობისგან ყველაფერში.

✦ ისა სჯობია კაცმა მეტი იცოდეს, ვიდრე სულ არა იცოდეს რა!

✦ ადამიანმა უნდა მუდმივ შეინახოს თავის გულში ისეთი ადგილი, ისეთი სიჭაბუკის კუთხე და ბაღჩა, რომელზედაც ჯერ არავის არა მოუმკია რა და, სადაც შესაძლოა ახალი მცენარეთა დათესვა და მათი მოშენება.

✦ უნდა ვზრუნავდეთ იმაზე კი არა, რომ დიდხანს ვიცოცხლოთ, არამედ იმაზე, თუ რ:მდენი გვმართებს ვიცოცხლოთ.

## გასართობი

—

გმირის პასუხი. საბერძნეთის გმირს ლეონიდს ერთმა ჯარის შიკრიკმა ბრძოლის დროს მოახსენა:

— სარდალო, დასავლეთისაკენ ისეთი დიდი ჯარი მოდის მტრებისა, რომ, თუ ყველამ ისრის სროლა დაიწყეს, მზის შუქს დაგვიბნელებენ.

— შენ ფიქრი ნუ გაქვს, თუ მართლა მზე დაგვიფარეს ჩვენთვის უკეთესია, მაშინ ჩრდილში მოგვიხდება ბრძოლათ! —მიუგო უშიშარმა ლეონიდმა.

## წვრილი ამბავი

—

რა მდგომარეობაშია რუსეთის დრამატურგი. გაზეთ "Одесск. Л." მოჰყავს საყურადღებო ცნობა რუსეთის დრამატიული მწერლების შემოსავალზე ოფიციალურად გამოცხადებული ანგარიშიდამ სჩანს, რომ წარსულ წელს რუსეთის ყველა დრამატურგების მთელი შემოსავალი უდრიდა 177,065 მ. 95 კაპეიკს.

საფრანგეთში თითქმის იმოდენავე შემოსავალი აქვს თითო გამოჩენილ დრამატურგს.

მაგრამ სასარგებლო აქ ის გაოდის, რომ მარტო სეკრეტარი თავისთვის და კანცელარიისთვის ამ „შემოსავლიდამ“ იღებს 14 ათასამდე მანათს.

გამოჩენილს ოსტროვსკის თავის დღეში არ აუღია ამოდენა ფული თავის ნაწერებიდამ.

რასაკვირველია, რომ ყველა დრამატურგი სეკრეტრობას ნატრობდეს და დრამატურგობას სწყევლიდეს.

გამოჩენილი დრამატურგის ნ. ი. სოლოვიოვის დასაკრძალვად საზოგადოებამ გადასდო.. 50 მან. არც მეტი და არც ნაკლები „საზოგადოებაც“ ასეთი უნდა. სეკრეტარ კანცელარიისთვის 14.000 მანათს ხარჯავს და გამოჩენილი მწერალის დასამარხად 50 მანათს იღებს!..

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

2 აპრილი

**ჰელსინგფორსი.** სენატს გარდაეცა ფინლანდიაში შემოსაღებ სამხედრო ბეგარის წესდების პროექტი უმაღლესად მოწონებული დასამატი აზრნი იმის შესახებ, რომ მთელს იმპერიაში პირადი და საფინანსო ტვირთი ამ ბეგრის გარდახდისა გათანასწორებულ იქმნას. ეს აზრი სეიმს უნდა გარდაეცეს და მისის ძალით ერთი ოთხად მეტი ჯარის-კაცი უნდა გაიყვანონ, რომლის მოჭარბებული ნაწილი რუსეთის ჯარში ჩაირიცხება, ხოლო ფინლიანდიის სამხედრო საჭიროების ხარჯთ-აღრიცხვა თანდათანობით 10 მილიონ მანათამდე უნდა გაძლიერდეს.

**პარიზი.** „Figaro“-ში 13 ჩვენებაა დაბეჭდილი. გრენიე იხსენიებს ესტერგაზის მეცადინეობას, რომ მთავარ-შტაბში ადგილი ეშოვნაო. ჟანნელმა სთქვა თურმე, რომ დრეიფუსს ვათხოვე „თოფის სროლის სახელმძღვანელო“. კაპიტანმა იუნკმა და ვალდანმა კვერი დაუკრეს ლაუტის ნალაპარაკევს.

„Eclair“-ში დაბეჭდილია ემმაკისა და სხვა მის ახლო კუნძულთა გუბერნატორის ოფიციალური მოხსენება, 26 ოქტომბერსა თუ 25 ნოემბერს დაწერილი, —რომელშიაც მოხსენებულია, როგორ მიეგება დრეიფუსი იმ ამბავს, რომ შენი საქმე უნდა გადასინჯულ იქმნასო. დანიელი ამბობს დრეიფუსი ცოლსა სწერდა, რომ მინდა თავი მოვიკლაო. როდესაც საკასაციო პალატამ მოსთხოვა, დავვისახელეთ, რა გვარად აპირებთ თავის დაცვასაო, დრეიფუსმა განმოუცხადა, რომ არაფრის თქმა არ შემიძლიან, არაფერი არ მახსოვსო. ერთხელ დრეიფუსმა უთხრა მკურნალს: „ჰშიშობენ, რომ ჩემმა

---

*) ნიკოლოზ ტფილელი—გვარათ ორბელიანი იყო, სცხოვრობდა XVIII საუკ. დამდეგს, იყო თანამედროვე პირი ვახტანგ V.I-ისა

სახლობამ არ გამოაქვეყნოს ცნობილი წერილი, რომლის ბრალსაც მე მდებენ; ეფიქრებათ, რომ ეს ამბავი გერმანიის იმპერატორმა არ შეიტყოსო. მაგრამ ნუ თუ ის არ აშინებთ, რომ შეიძლება ჩემმა ცოლმა წაიყვანოს თავისი ორი ბავშვი, ჩაუვარდეს იმპერატორს ფეხთ ქვეშ და მართლ-მსაჯულება სთხოვოს". დრეიფუსმავე განუცხადა დანიელს, რომ საკასაციო პალატის საცნობელი არა მაქვს-რა, ხოლო 24 ნოემბერს სწერდა იმავე დანიელს, რომ ჩემის საქმის სასამართლოში წარმოების დროს პერიესა ვთხოვე, რომ იგი საჯაროდ იქმნას განხილული-მეთქი. პერიე დამთანხმდა ზოგიერთის პირობით, რომელთა ასრულების ფიცი მივეცი. ამისდა მიუხედავად არ ვიცი რა მიზეზით, უარი მითხრეს და ჩემი საქმე საჯაროდ არ განიხილესო. ამასთანავე დრეიფუსმა რამდენჯერმე განიმეორა თურმე, რომ ჩემის დაცვის საქმე ჩემის ცოლისა და დემანჟის ხელთ არისო.

კაპიტანმა ფრეშტიტერმა, დრეიფუსის, ერთმა მოსამართლეთაგანმა, რომელმაც ლოკრუას წერილი მისწერა და ექვს აცხადებდა განაჩენის კანონიერობის შესახებ, ლოკრუასაგან ნება რთვა მიიღო პირდაპირ მიჰმართოს საკასაციო სასამართლოს და აცნობოს ან წერილობით, ან სიტყვიერად ის, რის გამომჟღავნებაც მას სასარგებლოდ მიაჩნია.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატამ 167 ხმის უმეტესობით 65 ხმის წინააღმდეგ შეიწყნარა ვეიხია-ვეის შესახები მუხლი. კამათის დროს გოშენმა განაცხადა, რომ მთავრობას განზრახვად არა აქვს ვეი-ხაი-ვეი პირველ ხარისხოვან საზღვაო სადგურად გარდააქციოს და ვეი-ხაი-ვეისა ისეთი იმედი არა აქვს, როგორი იმედიც რუსეთს პორტ-არტურისა აქვს.

**პარიზი.** თავის მოკვლის აზრი, რომლის შესახებაც დანიელის მოხსენებაშია ლაპარაკი, დრეიფუსს გამოუთქვამს იმ დრომდე, ვიდრე სისხლის სამართლის პალატა გარდასწყვეტდა, საქმის გადასინჯვის შესახები არზა შეიძლება მიღებულ იქმნას თუ არაო. დრეიფუსი თავისს სიტყვიერად და წერილობით ლაპარაკში დანიელთან დაბეჯითებით გაიძახის, რომ მე უდანაშაულო ვარ და ეჭვი არა მაქვს, რომ გენერლები, განსაკუთრებით ბუადეფრი კანონიერად იქცევაო.

**კრიმეინჩუგი.** აქ სამხედრო მინისტრი ჩამოვიდა.

4 აპრილი.

**პეტერბურგი.** რადგან გაზეთმა „ბირჟ. ვედ." თავისის მე-19 №-რის მეთაურის წერილის დაბეჭდვით დაარღვია ბეჭდვის საქმეთი მთავარ-სამმართველოს განკარგულება, შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა: გამოეცხადოს გაზ. „ბირჟ. ვედ". მესამედ გაფრთხილება და ამასთანავე ორის თვით შეჩერებულ იქმნას მისი გამოცემა.

**მადრიდი.** არტოსი დანიშნული იქმნა ელჩად ვაშინგტონში. იმის მაგივრად, გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგად დანიშნულია დიუპიუი-დე-ლომი.

5 აპრილი

**პარიზი** „ფიგაროში" დაბეჭდილია ჩვენებანი სამის პოლიციელის—კენესი, ტომისა და დევერნინისა და პოლკოვნიკის პიკარისა. პიკარს უთქვამს, არ მახსოვს, პატი-დე-კლამმა ან სხვა ვინმემ წარადგინა თუ არა საიდუმლო „დოსიეს" მაგრამ ეჭვი-კი არა მაქვს, რომ ეს „დოსიეს" აუწყესო. პიკარმა სთქვა, რა საბუთების ქაღალდებია ამ „დოსიეში" და რა მიზეზით ვეჭობ, რომ ისინი დრეიფუსს არ ეკუთვნიანო.

**პარიზი.** ბარტუმ თავისის ამომრჩევლების წინაშე ოლორონში განაცხადა, რომ დრეიფუსის საქმის ხელ-ახლა განხილვა აუცილებელიაო.

**ვენა.** მართლ-მადიდებელთა ტაძრის კურთხევა დაიწყო დილის 9 საათზედ. დაესწრნენ: უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგი საბლერი, რუსეთის ელჩი გრაფი კაპნისტი, რუსეთის საელჩოს წევრები, სტუმრები, მართლ-მადიდებელი მღვდლები, ბერძენთა და სერბთა არქიმანდრიტები, დიპლომატები და სხვანი. იყვნენ აგრეთვე ავსტრიის ნამესტნიკი და ვენის ბურგომისტრი.

**გონკონგი**. ადგილობრივ მცხოვრებთ თოფები დაუშინეს ტაიფსს, სადაც ბრიტანიის ჯარის რაზმი იყო კოულუნის ახლოებად. რაზმს უფროსობდა კაპიტანი მეი. ტაიფუზში ბრიტანიის ჯარი გაჰგზავნეს.

**მადრიდი.** არჩევანების გამო ბილბაოში, ვალენციაში არეულობა და ჩხუბი მოხდა. ერთი კაცი მოკლულია და რამდენიმე დაჭრილი.

## რედაქციისაგან

**ჩოხატაურში** ხიდისთაველს თქვენი წერილი არ დაიბეჭდება, რადგან შიგ დასაბეჭდი არა არის რა.

**ჯესტაფონში** მეორე დამსწრეს თქვენი წერილის დაბეჭდვა ვერ მოხერხდა.

**ტყიბულში** სოფ. კ—ძეს თქვენი წერილი ვერ იბეჭდება.

**სენაკში** დ. შ. ასულს. თქვენი წერილი ვერ დაიბეჭდა.


სამკურნალო და სასარგებლო დასალევი




# ქეფირი და კუმისი




ერთად ერთი ქარხანა რომელიც არსებობს 1887 წ.

მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილდოვებული ორს გამოფენაზე.

იყიდება მხოლოდ ლ. კორონასთან ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ზუბალოვის სახლებში აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების წევრთათვის და მოწაფეთათვის, ფასი დაკლებულია.

(100—9) ლ. კორონა.

# Открыта подписка на 1899 годъ

## На литературный, научный и политическій журналъ

Выходитъ 3 раза въ мѣсяцъ 36 (1, 11, 21) книгъ въ годъ 36

# „ЖИЗНЬ"

Рисунки и портрет

**Съ 1899 г. журналъ будетъ выходить при обновленномъ состав[ѣ ре]дакціи и сотрудниковъ.**

Въ журналѣ принимаютъ участіе: К. С Баранцевичъ, академикъ Н. Н [Бе]товъ, В. В. Брусянинъ, П. И. Вейнбергъ, А. А. Вербицкая, В. В. Бе[ресаевъ], З. Л. Вогоисва, П. Н. Ге, М. П. Глѣбовъ, Р. Гвоздевъ, М Горькій (А. Пѣшковъ), И. А. Гурвичъ, Г. А. Джаншіевъ, Н. П. Дмитріевъ, А (A Duc), Де-Греефъ (De Greef.), П. Н. Инфантьевъ, М. К. Исаевъ, Калитинъ, Б. Э Кетрицъ, проф. Г. В. Левицкій, д-ръ П. В. Левашо[въ], Е. Лосицкій, Г. Ф. Львовичъ, В. Микуличъ. Н. М. Минскій, Вас. Ив. [Немі]ровичъ-Данченко, А. А. Никоновъ, Н. А. Окуневъ, проф. Э. Ю. Петр[и], А. Поссе, Д. Д. Протопоповъ, К. П. Пятницкій, Н. А. Рубакинъ, В Скалонъ, М. А. Славинскій, Е Смирновъ, Евг. А. Соловьевъ, П. Б С[труве], Н. Ф. Теплговъ, д-ръ В. Ѳ. Тотоміанцъ, М. И Туганъ-Барановскій, Черновъ, А. П. Чарушниковъ, Евг. Чириковъ, Кордъ Шмидтъ (C. Schmidt), проф Ѳ. Ѳ. Эрисманъ и др.

**ГМ. ГОРЬКІЙ зъявилъ согласія печатать въ „Жизни" ВСѢ свои произведенія,**

за исключеніемъ небольшихъ очерковъ, обѣщанныхъ имъ „Журнали для всѣхъ".

**12 книжекъ** выходящихъ 1-го числа каждаго мѣсяца, заключаютъ въ себѣ **ЛИТЕРАТУРНЫЙ** отдѣлъ журнала. Въ него ходятъ: беллетристика, литерат. критика и искусство.

**12 книжекъ.** выходящихъ 11-го числа, заключаютъ въ себѣ **НАУЧНЫЙ** отдѣлъ журнала. Въ него входятъ статьи по *естество-знанію* и по *общественнымъ наукамъ* (соціологія, политическая экономія, право, исторія).

Особое вниманіе будетъ обращено на ознакомленія читат. съ новѣйш. научными теченіями.

**12 книжекъ,** выходящихъ 21-го числа, содержатъ въ себѣ **ПОЛИТИЧЕСКІЙ** отдѣлъ журнала. Въ него входятъ: руководящія статьи по текущимъ вопросамъ русской и заграничной жизни, корреспонденція изъ провинціи и изъ за границы

Особое вниманіе будетъ обращено на разработку вопросовъ, касающихся крестянскаго, городскаго и земскаго самоуправленія.

Многіе мѣстные общественные дѣятели обѣщали свое сотрудничество. Для болѣе полнаго ознакомленія читателей съ заграничной жизнью, кромѣ отдѣльныхъ статей и корреспонденціи, редакція предполагаетъ помѣщать переводы *стенографическихъ* отчетовъ о наиболѣе интересныхъ засѣданіяхъ западно-европейскихъ парламентовъ.

Постоянныя корреспонденціи изъ Германіи, Франціи, Англіи, С. Ам. Соед. Штатовъ, Австріи, Бельгіи и др.

***Библіографія*** распредѣляется по соотвѣтствующимъ отдѣламъ.

*Къ каждой изъ 36 книже[къ при]лагается обзоръ русской и ино[стран]ной жизни за 10 дней.* Этимъ достигнуто соединеніе удобствъ [еже]сячнаго и еженедѣльнаго издані[я].

Кромѣ того ежемѣсячно [будутъ] помѣщаться *новости литерату[ры, ис]кусства и науки, а также мело[чи рус]ской и заграничной жизни.*

***Многія статьи (по искус[ству,] исторіи и т. д.) будутъ [илю]стрированы снимками съ [худож]никъ и портретами.***

Помѣщеніемъ рисунковъ [и пор]третовъ редакція однако отнюдь [не ду]маетъ придать журналу характеръ [илю]стрированнаго изданія.

Стремясь избѣгать помѣще[нія боль]шихъ литературныхъ произведе[ній] большими отривками редакція [рѣшила] напечатать переводъ новаго [большого] *романа* ***Гамфри Уордъ*** (авто[ръ Мар]челлы, Сэра Дж. Тресседи, Дав[ида Грив]на и др.) ***Хельбекъ изъ Банн[исдэ]ля*** *отдѣльной книгой* и разос[лать его] въ первой четверти 1899 года *подписчикамъ, внесшимъ полн[ую год]овую плату* въ видѣ безплатна[го при]ложенія

Контора редакціи гото[ва испол]нять порученія иногороднихъ [подпис]чиковъ по покупкѣ и высылкѣ им[ъ книгъ.]

Первыя три (январскія) [книжки] печатаются и выйдутъ въ декаб[рѣ. Же]лающимъ ознакомиться съ жу[рналомъ] онѣ высылаются за *одинъ* рубл[ь; по]савшіе ихъ, продолжаютъ под[писку за] 6 рублей.

**Подписная цѣна съ доставкой и пересылкой: на годъ—7 руб.; [на полъ] года—4 р. Допускается разсрочка отъ 1 р. въ мѣсяцъ.**

Главная контора СПБ. Бассейная д. 14

Отдѣленія конторы *въ Москвѣ:* кн. маг., «Книжное Дѣло» (Моховая, [домъ] Бенкендорфа); кн. скл. А. М. Муриновой (Трехпрудный пер., соб[ств. д.])

(8—4) Редакторъ-Издатель **Д. М. Остаф[ьевъ]**


Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 Апрѣля 1899 г. სტ. „ძმ. შარ." ვ. ბეხაიასი), რედაქტორ-გამომცემელი ვ.